საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/7681
13/12/2022

7681-21-2-202212131545

შპს „ირაკლი-სანდრო 2019-ს“
მის: ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვედა ჩხოროწყუ
ელ.ფოსტა: sabaaxalaia44@mail.ru

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №7023 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩხოროწყუში ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგურის) ექსპლუატაციის პროექტს.

სკრინინგის განცხადებაში სრულად არ არის გათვალისწინებული N21/5631 წერილით მოთხოვნილი საკითხები, კერძოდ:

- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას, კერძოდ, წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობის განხორციელების ადგილის shp-ფაილები;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი (46.03.36.103) არ იძებნება, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, სიტუაციურ რუკაზე დატანით;
- წარმოდგენილ განცხადებაში ვერ იდენტიფიცირდება ხელმომწერის ვინაობა (სახელი, გვარი);
- 2022 წლის 2 აგვისტოს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ტერიტორიაზე მოწყობილია სარკოფაგი, სადაც განთავსებულია დიზელისა და ბენზინის საწვავისთვის განკუთვნილი ორი ცალი 10-10 ტონიანი რეზერვუარი. ხოლო, წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში კვლავ მითითებულია რომ სარკოფაგში მოწყობილია ორი რეზერვუარი (ბენზინისა და დიზელისთვის), თითოეული 4.4 $მ^3$ მოცულობით. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას და შესაბამისობაში მოყვანას;
- დოკუმენტის თანახმად, შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტებითა და მოედნის პერიოდული მორეცხვისას წარმოქმნილი წყალი თავსდება 5 ტ ტევადობის ფოლადის ავზში. თუმცა, განხილული არ არის შემდგომი მართვის საკითხი. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სანიაღვრე წყლების გაწმენდის შესახებ;
- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ნარჩენების წარმოქმნისა და შემდგომი მართვის შესახებ;

- დამატებით გაცნობებთ, რომ დანართის სახით წარმოდგენილი დოკუმენტი უნდა იყოს გარჩევადი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო